



ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

შპმ პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა და სისტემური გარანტიების შექმნა, 2023 წელს განხორციელებული აქტივობების შესახებ ანგარიში

2023 წელს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ დაამტკიცა **სამოქმედო გეგმა “საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, შპმ პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა და სისტემური გარანტიების შექმნა”**. მიმდინარე ეტაპზე, შემუშავების პროცესშია 2024 წლის სამოქმედო გეგმა.

2023 წლის განმავლობაში, საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020 – 2025 წლების ეროვნული სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების მიზნით, სამინისტრო პროექტ „ლოგ-ინ ჯორჯიას“ ფარგლებში, მუშაობდა **უნივერსალური მომსახურების თაობაზე ევროპის ელექტრონული კომუნიკაციების კოდექსის (2018/1972 დირექტივის) შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებზე**. უნივერსალური მომსახურების დანერგვის მიზანია უზრუნველყოს მოსახლეობისათვის სატელეკომუნიკაციო მომსახურებების ეკონომიკური და ფიზიკური ხელმისაწვდომობა, აღნიშნული ასევე მოიცავს შპმ პირების ელექტრონული კომუნიკაციების მომსახურებებზე წვდომის უზრუნველყოფის მიმართულებას. აღნიშნულ პერიოდში, მომზადდა კანონის პროექტი "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე".

საანგარიშო პერიოდში, ტურიზმის სფეროში ინფორმაციაზე წვდომის გაუმჯობესების მიზნით, **შეიქმნა და შპმ პირებისთვის ადაპტირდა ახალი პორტალი places.georgia.travel**, რომელიც ადგილობრივ და საერთაშორისო ტურისტებს მაქსიმალურად გამარტივებულად მიაწვდის ინფორმაციას ქვეყნის მასშტაბით ტურისტული ობიექტების შესახებ, ამასთან, გაუადვილებს მათ ძებნას საძიებო სისტემებსა და ვებგვერდზე, დააკავშირებს ობიექტებთან, მისცემს შეფასების შესაძლებლობას და სრულყოფილ ინფორმაციას საქართველოში არსებული ტურისტული ობიექტების შესახებ. აღნიშნული ხელს შეუწყობს ტურისტული ობიექტების ერთიანი ბაზის შექმნას, კატეგორიზაციას და მის მონიტორინგს.

დამატებით, აღსანიშნავია, რომ 2022 წელს განახლდა **(ადაპტირება მოხდა მხედველობადაქვეითებულთათვის) ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვებგვერდი - <https://georgia.travel/>**, მომზადდა offline დემო ვერსია, სადაც ინტეგრირებულია შპმ პირთათვის ფუნქციონალი. ვებ-გვერდი საიტი ლაივ რეჟიმში გაეშვა 2023 წლის მარტის თვიდან.

2023 წელს სსიპ „აწარმოე საქართველოში“ **მიკრო გრანტების კონკურსში** დარეგისტრირდა 380 შპმ პირის განაცხადი, რომელთაგანაც დატრენინგდა 144 პირი. დაფინანსდა 29 პროექტი, ჯამში 615,709 ლარით.

ასევე, საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა სსიპ - "აწარმოე საქართველოში" სააგენტოს ოფიციალური საიტის - enterprise.gov.ge ადაპტირება შპშ პირებისთვის.

2023 წელს სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ რეგიონულ ტექნოპარკებში განხორციელებული პროექტებში, ასევე, რეგიონული პრე-აქსელერატორის პროგრამასა და Do IT in Georgia პროგრამაში მონაწილეობა მიიღეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა, კერძოდ:

- ზუგდიდის ტექნოპარკში განხორციელდა პროგრამა TechGenius, რომლის მონაწილეები, ერთი კვირის განმავლობაში, გაეცნენ ვირტუალური რეალობისა და ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების გამოყენების პერსპექტივებს, 3D მოდელირების გამოყენების ინდუსტრიებსა და კრეატიული აზროვნების როლს ტექნოლოგიურ ინდუსტრიაში. ფინალურ ეტაპზე, დემო დღეზე, კი წარადგინეს ინოვაციური პროექტები. მასში მონაწილეობა მიიღო 1 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა. ამავე ტექნოპარკში ჩატარდა ტექნოლოგიური ბანაკი, რომლის მიმდინარეობისას, მონაწილეები გაეცნენ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესახებ საერთაშორისო ტენდენციებს, ჩაერთნენ ტრენინგებსა და ვორქშოფებში პროგრამირების, ხელოვნური ინტელექტის, კიბერ ეთიკის მიმართულებით. შემდგომ კი, პროექტის დემო დღეზე, წარადგინეს ინოვაციური იდეები. აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 1 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა. სააგენტოს მხარდაჭერით, ასევე, განხორციელდა მესტიის ტექნოლოგიური ფესტივალი, რომლის მონაწილეები გაეცნენ ვირტუალური რეალობისა და ხელოვნური ინტელექტის ინდუსტრიას და მათი სტარტაპ ეკოსისტემაში გამოყენების პერსპექტივებს, ამასთან, STEAM მიმართულებების მნიშვნელობას, ინოვაციური აზროვნებისა და სტარტაპ იდეების გენერირების ძირითად ასპექტებს. ფესტივალის დასკვით ეტაპზე, მონაწილეებს ჰქონდათ შესაძლებლობა თავიანთი იდეები წარედგინათ აუდიტორიის წინაშე. აღნიშნულ ღონისძიებაში ჩაერთო 1 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.
- კასპის ტექნოპარკში განხორციელდა ტექნოლოგიური კვირეული, რომელიც მიზნად ისახავდა ახალგაზრდების დაინტერესების გაზრდას შემდეგი მიმართულებებით: ტექნოლოგიური მეწარმეობა, Internet of Things, ხელოვნური ინტელექტი, ელექტრონული კომერცია, WEB და Mobile დეველოპმენტი. აღნიშნულ პროექტში ჩაერთო 1 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.
- თელავის ტექნოპარკში ჩატარდა თელავის საინჟინრო კვირეული - „მომავლის ინჟინერები“, რომლის მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ ინჟინერიის მიმართულებით მიეღოთ ცოდნა და შეეძინათ საჭირო უნარები. აღნიშნულ პროექტში ჩაერთო 1 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. ამავე, ტექნოპარკში, ასევე, განხორციელდა კახეთის ფინტექ ბანაკი, სადაც მოსწავლეებმა გაიარეს ფინანსურ საკითხებზე ტრენინგ/ვორქშოფები, მოამზადეს დემო დღისთვის პროექტები და წარსდგინენ ჟიურის წინაშე. აღნიშნულ პროექტში ჩაერთო 1 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.
- ახმეტის ტექნოპარკში ფაბ სკოლის ტრენინგებს, გრაფიკული დიზაინის მიმართულებით, დაესწრო 1 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. ამავე ტექნოპარკში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. შეხვედრის ფარგლებში, მონაწილეები გაეცნენ დასაქმების

შესაძლებლობებს, ტექნოპარკის ფაბლაბის დანადგარებს და მიეწოდათ ინფორმაცია იმ აქტივობების შესახებ, რომლებსაც სააგენტო ბენეფიციარებს სთავაზობს. შეხვედრას 18 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი დაესწრო. ამასთან, ამავე ტექნოპარკში ჩატარდა ტრენინგები სამეწარმეო მიმართულებით -“სტარტაპ სპრინტი ახმეტაში”, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა.

- **შიდა ქართლში განხორციელებულ პრე-აქსელერატორის პროგრამაში** დარეგისტრირდა 2 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, ხოლო პროექტი წარმატებით ერთმა დაასრულა.
- **Do IT in Georgia პროგრამის ფარგლებში**, ტრენინგ კურსებზე ჩაირიცხა 46 შშმ პირი. მათი გადანაწილება მიმართულებების მიხედვით შემდეგია: 34 სტუდენტი ჩაირიცხა პროგრამირებაზე; 8 სტუდენტი ჩაირიცხა მართვაზე; 4 სტუდენტი ჩაირიცხა დიზაინის კურსზე.

ცნობიერების ამაღლებისა და შშმ პირთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა ტრენინგები შემდეგი მიმართულებებით:

- 2023 წელს, ივნისსა და ნოემბერში, **სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს** მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა დაცვის შესახებ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სერვისების მიწოდების სპეციფიკის შესახებ, ტრენინგები ჩატარდა უწყების 40-მდე თანამშრომელს.
- 2023 წელს, **ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებულთათვის და დასაქმების მსურველთათვის**, 2023 წელს, სსიპ - „ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის“ მიერ, განხორციელდა ტრენინგები თემაზე - „ინკლუზიური ტურისტული პროდუქტები და სერვისები შშმ პირთათვის“ შემდეგ ლოკაციებზე: ქ. თბილისი, ქ. რუსთავი, ქ. გორი, ქ. კასპი, ქ. თელავი, ქ. ქუთაისი, ქ. წყალტუბო, ქ. თეთრიწყარო, ქ. ზუგდიდი, ქ. ამბროლაური, ქ. ბათუმი, ქ. სტეფანწმინდა და დაბა მესტია. აღნიშნულის შედეგად, ჯამში გადამზადებულია ტურიზმის სექტორში დასაქმებული და დასაქმების მსურველი 350 ადამიანი.
- დამატებით, აღსანიშნავია, რომ **ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის მგზავრთა და ბარგის მომსახურების სამსახურის თანამშრომლებს**, რომელთათვის სავალდებულოა შშმ პირთა მომსახურების შესახებ სწავლების ჩატარება, გავლილი აქვთ ტრენინგი და სერტიფიცირებულია რაოდენობა შეადგენს 41-ს. მათი სერთიფიკატი მოქმედია 2 წლის ვადით (12.2022-12.2024). 2023 წელს, ქუთაისის აეროპორტში დაიწყო მგზავრთა და ბარგის მომსახურების სამსახურის სრული დაკომპლექტება, რომელიც ამჟამადც მიმდინარეობს. ამასთან, დაგეგმილია თელავის აეროპორტისთვის თანამშრომელთა შერჩევა. შედეგად, 2024 წელს მოხდება 20-ზე მეტი ახალი თანამშრომლის გადამზადება.

2023 წელს, საქართველოს აეროპორტებში **შშმ პირთა უფლებების დაცვის მონიტორინგის მიზნით**, განხორციელდა საქართველოში მოქმედი აეროპორტების (თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ნატანტრის, მესტიისა და ამბროლაურის) ინსპექტირება. აღნიშნული აეროპორტები აკმაყოფილებენ არსებულ სტანდარტებს.

2023 წელს, სამთო-სათხილამურო კურორტებზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის საბაგრო ინფრასტრუქტურასთან ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, გუდაურში 2 ახალ საბაგრომდე მოეწყო ადაპტირებული მისასვლელი, ხოლო ბაკურიანში განხორციელდა 1 ადაპტირებული პანდუსის მოწყობა. ამასთან, 2023 წელს გუდაურის საბაგროების (გონდოლა) მიმდებარედ, სამთო-სათხილამურო კურორტებზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის განხორციელდა 2 ადაპტირებული სანიტარული კვანძის მოწყობა.